



საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში,
ბეჭდებიც ბეჭდუდნი სიფყვას,
ცყელილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაფანა ყველა უკადრისდამაგ
უსამაგლესია.



 **დაარსებულია**
1918 წელს. 
სამშაბათი, 23 ივლისი, 2013 წელი.
№137 (7264)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტის მორიბი დედა- ბოგია



2

ნაცმიკროზები

3 NDI-ს და ნაციონალების ინტერესები თანხვედრაშია

8 „რუსეთთან ურთიერთობის მოუნარიებულად ჩვენ განვითარებულ საქართველოს ვირ ავაშენებთ“

ნაცვებო, „ლომესტოსის“ გეგმინოღეთ!..

ჩვენი სხოვრების ბასაკეთილ- უმობილებლად

6 „ვითხოვ ძმის რეაბილიტაციას, ვითხოვ, რომ გავლულებამ პასუხი აგონ!“



9 „ვერცხლის საუკუნის“ მუზა და დედოფალი

7 აფხაზეთი – ყალბი, ნამდვილი



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

აქციების ეპოქა

პრაიმერიზის შოუ დასასრულს უახლოვდება, ანუ გადის გალამა, გინაც მარიალზე. ალბათ ჩაცნობა ნაცვებზე განრისხებული მოსახლეობის წინააღმდეგობა და, როგორც წინააღმდეგობა იყო ნაცისტების მიერ ნაწინააღმდეგობა...

სიამაყის დერეფანი იყო, რადგან არაფრის არა გვერცხვნილია. დიდი ხანია ნამუსის ძარღვი რომ განწყვეტილი აქვთ (თუ ზოგიერთს დაბადებიდან არა) და აბა რას იტყობდნენ.

ნაცვებო, „დოქტორის“ გაუბნობდეთ!



ნაცვიკრობაში

დაბატონეს პრაიმერიზით გამოსა-აშკარავებელ მთავარ ნაცვიკრობის კონკურსში მონაწილეთ. მართალია თორმეტი კაცი დააკავეს და ასლა-რიანი ჯარით გამოუსვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი დედუ-ლეთის მოსახლეობის 80 პროცენტი სიამოვნებით გადაიხდიდა ორი მაგდენს, რომ ერთი ჭიჭილაყი მაინც ამოერთყათ გნაცვლებისთვის.

ამოაყრანტალე სიამართლე, ახლა მართლაც აგხელია თვალეები. თქვენს უკან ასიათასობით ქართველი დგას, შეიძლება მეტიც. დგას შეურაცხველი, თქვენგან ჩორეცხილი, თავლადასხმული, სამშობლონართმეული, ცოცხებით გაუპატიურებული, თქვენი ავად-მყოფური ფანტაზიის შედეგად სასტიკად ნანამები, დამცირებუ-ლი ქართველი და საქართველოს მოქალაქე მართლაც დგას და მზა-დაა ისტორიის სანაგვეზე მოგის-როლონ. თქვენ გგონიათ, რომ თქვენს დასაცავად დგას? თქვენს დასაცავად იძულებით დგას მხოლოდ ჩვენი პოლიცია და დღე-სა და ღამეს ასწორებს იმისთვის, რომ სადმე არ „ნაგებადიეზღოს“ გამწარებულმა ხალხმა. თქვენს დასაცავად და გრანტების მოსაპო-ვებლად დგას რამდენიმე არასამ-თავრობო ორგანიზაცია, თქვენს დასაცავად დგას თქვენს მიერ ქარ-თველი ხალხის ჯიბიდან ამოღე-ბული ფულით გაქსუებული ზოგი-ერთი ევროპარლამენტარი და თითუე ჩამოსათვლელი თქვენნი-რი. ეს კი ზღვაში წვეთია ვაშაძე-ბატონო.

ლოში ქვების სროლა 2003 წელს და უფრო ადრე ოთხმოცდაათიან წლებში. გვასსოვს, ეს რით დას-რულდა. თქვენ ეტყობა მართლაც ამენ-ზია დაგემართათ, ნაცვიკრობეო. ბაქრაძეს მინდა შევახსენო, თუ არ ასსოვს - 90-იანი წლების სამეგ-რელოს დამრბევთა შორის ერთ-ერთი გვერდით გიდგას და ვითომ შენი კონკურენტია. ისე თუ ოცი წლის წინანდელი მისი ვაჟკაცო-ბა არ გახსოვს, მაშინ ორიათასიან წლებში გადმოინაცვლე და სვა-ნეთში დატრიალებული ტრაგედი-აც გაიხსენე. იქნებ თქვენგან გამ-წარებული ხალხისკენ და დღევან-დელი ხელისუფლებისკენ კი არ უნდა იშვერდე ხელს, არამედ რო-ბოტივით ერთ წერილს რომ მის-ჩერებისარ გვერდითაც უნ-და გაიხედო, ან მარცხნივ, ან მარჯვნივ და აუცილებე-ლად დაინახავ ბარამიძე-გაბაშვილ-ბოკერიებს და მათ წამქეზებელ მიშა საა-კაშვილს. ცოტა გამოფხიზ-ლდი, ექსპიკერო!

ბათუმის პრაიმერიზსაც ვერ ავუვლი გვერდს. ეტყობა ზღვის სეზონია და თქვენს ცემა-ტყეპას ხალხმა მამასისხლად გადა-დებული ფულის წყალობით ნანატ-რი ჭყუმიშალაობა არჩია, თორემ იქაც არავის ეხატებოთ გულზე. ამი-ტომაც იყო მხოლოდ ორი კაცი და-აპატიმრეს და როგორც წესი ას-ასი ლარით დააჯარიმეს.

ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა, ახლახან პოლიტპატიმრის სტატუ-სით გათავისუფლებულმა და ცეს-კოში საინიციატივო ჯგუფის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად წარ-დგენილმა მერაბ გორგაძემ ასლა-რიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ განაცხადა, რომ პროტესტის ნიშ-ნად დახვდა ნაციონალებს და ხალხს ბოდიში მოუხადა - ორი წასროლი კვერცხიდან ვერც ერთი ვერ გაგარტყო.

ისე, ჩემო მერაბ, საპრეზიდენტოდ გამზადებულმა კაცმა ორი სროლი-დან ერთი მაინც უნდა მოარტყა მი-ზანში, მაგრამ არა უშავს. როგორც აჭარლები იტყვიან - ცოტა წივივარ-ჯიშე და...

დაბოლოს, ბატონმა კოტე კუბ-ლაშვილმა, უზენაესი სასამართ-ლოს თავმჯდომარე გახდაცხადა, რომ ასეთი დარღვევა (მხედველო-ბაში ჰქონდა ზუგდიდისა და ბათუ-მის ინციდენტი) არ სცილდებოდა 100-ლარიანი ჯარიმის საზღვარს. ასე რომ, თქვენს ფაფხურსა და ბაქრაძეს რომ ვუყურებ და ვუსმენ, ნაძირულა ნაცვებო, ერთი სული მაქვს, დიდი რაოდენობით „დომეს-ტოსი“ ვიყიდო და ყველას დავერი-ოთ. როგორც ყოველდღიური რეკ-ლამიდან ჩანს - „დომესტოსი“ ორ-ჯერ სწრაფად კლავს მიკრობებს, მაგრამ ვფიქრობ, დიდი რაოდენო-ბით „დომესტოსის“ ყიდვა სჯობს თუ ასი ლარის გადახდა თქვენს ლანძვარგინება-ჭიჭილაყის კვრა-ში. ვნახოთ, რომელი უფრო იაფი დამიჯდება. ისე ნაცვიკრობებო, ივანიშვილზე მეტად „დომესტო-სით“ შეიარაღებული ხალხის გე-შინოდეთ!

ვაშაძე ვაშაძიძე

ვითხოვ ყურადღებას!

ღია წერილი ჩემთვის ჭეშმარიტად პატივსაცემ „ქართულ ოცნებას“

ბაქრაძე-საკაშვილის ნოტარიუსი...

ბბბბბმმმ გამომარჯვა შიდა პრაიმერიზში და პრეზიდენტობის კანდი-დატივ გახდა, ნაცისტები ზეიმობენ. ვერ წარმომიდგენია ვინ მისცემს საქართველოში ხმას ბაქრაძის პრეზიდენტობას. ბაქრაძე არის პირ-წავარდნილი ცრუპრეზიდენტი, მარიონეტი და დამნაშვე ვერისა და კაცობ-რიობის წინაშე. გამორიცხულია, რომ ბაქრაძეს არ სცოდნოდეს ცნობის ამბები ან ის საიდუმლო მასალები ახლა რომ ღიმილით ირგებს შე-საძლო წამებულის როლს ამ მასალების გამო, სასაცილოა, სატირა-ლი რომ არ იყოს.

ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე, ბაქრაძემ ყველაფერი კარგად იცოდა და გარკვეულ როლს ამ დანაშაულებრივ მოქმედებებში ას-რულებდა, მაგრამ, დავუშვათ, როგორც თვითონ ამბობს, მან ამის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა აცხადებს საკუთარ პასუხისმ-გებლობას. კი, მაგრამ სხვა ნაცისტების მსგავსად ყველა აცხადებს, მათ შორის სააკაშვილიც, რომ თანამდებობის პროპორციულად აგებენ პასუხს, მაინც რაში გამოიხატება ეს პასუხისმგებლობა, თუ არა დანაშაულებაში პრეზიდენტობის რანგში. სად გინახავთ და-ნაშაულის ან თუნდაც შეცდომის ჩამდგენ აწინაურებდნენ, ეს მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი. ამ რამდენიმე წლის წინათ, სააკაშვილი გაიპარა ანტალიაში არა ზღვაზე საბანაოდ, არამედ მსუბუქი ყოფაქცევის გოგონებში „საბანაოდ“. ეს ამბავი ყურ-ლისტების ყურადღებე მივიდა და ბაქრაძეს ეკითხებიან - სად არის სააკაშვილი? სააკაშვილი თბილისშია, უპასუხებს ბაქრაძე და იმის-თვის, რომ ყურნალისტები დაარწმუნოს, ფიცს უსვამს, რომ ამ წუ-თებში ის თავის კაბინეტში ზის და ოფისში გახვითქული მუშაობს! ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ცუანა ჭიის უსიამო ეფექ-ტით ცრუობს. ბაქრაძე ვერ მოიყვანს თუნდაც ერთ შემთხვევას, რომ მის პარლამენტში ერთი მაინც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქ-მე გაკეთებულიყო, ის მხოლოდ სააკაშვილის ნოტარიუსის როლს ასრულებდა. ეს ბიჭი შეუძლებელია გახდეს პრეზიდენტი.

კარგით, ნაცისტები გვერდზე გადავაყენოთ, დღეს დღითი დღე მატულობს პროტესტი ქართული ოცნების მიმართ და ეს უკმაყო-ვილება ყოველს მოეცემა. სოციალური, სამართლიანობის აღ-გენა, ქართული ოცნების გარეთ მყოფი პარტიების მიმართ დამო-კიდებულება. მე ვარ ერთ-ერთი პირველი, ვინც ბატონ ბიძინა ივა-ნიშვილის გვერდით დავდგა და ეს გამომხატულია ივანიშვილის მხარ-დამჭერთა მოწოდებითა ბაზაში. უაღრესად გახარებული ვარ, რომ ყაჩაღმა სააკაშვილმა ივანიშვილისაგან მიტაცებული ყველა საკუთ-რება უკან დაუბრუნა, რატომ არ უნდა გაუხარდეს ბატონ ბიძი-ნას, თუ მას მიეცემა იმის შესაძლებლობა (ჩემი განცხადების სა-პასუხოდ), რომ მეც დამიბრუნონ ჩემი ცხოვრების მანძილზე კა-პიკ-კაპიკ ნაგროვები თანხა, რომელიც მე ჩემს ხელისუფლებას მი-ვეცი სესხის სახით ჯერ კიდევ 1992 წელს. უკვე ერთი წელი გავი-და, კიდევ რამდენი დროა საჭირო, რომ დამიბრუნდეს ჩემი სა-კუთრება სიკვდილის პირას მყოფ ადამიანს, იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ კუკიაზე ჩემს საფლავზე მოაყრიან ამ თანხებს და ეს მე რა-მეში წამადგება (ეს ისე, ვფანტავირობ).

მე ვერ პრეტენზია მაქვს მხოლოდ სადღურთან, მან ჩემი განცხადე-ბის პასუხად ისეთი სიტუტუცე დააბრუნა, ალბათ, მკვდრებმაც კი ხარხარი ატეხეს.

ბატონებო, რაც გნებავთ ის დაარქვით, მე კი მომეცით ჩემი აბ-სოლუტურად გამჭვირვალე ყველა საკუთრებაზე ბევრად მტკიცე და სამართლებრივად მყარი საკუთრება. ბოლოს და ბოლოს გა-არჩიეთ ობმოც წელს გადაცილებული, მარტონელა, 47-წლიანი ნამ-სახურობით, მძიმე დაავადებების მატარებელი კაცი, თუნდაც სხვა, მსგავსი პრობლემების მატარებელი, მაგრამ უფრო ახალგაზრდა, შრომისუნარიანი და სხვა სიკეთეებით დატვირთული, ერთმანე-თისგან, მეტი სამართლიანობა რა იქნება, ჩემს საქმეს არ სჭირდება არც ვინმეს დასჯა, არც მესამე პირთან თანხის ძიება, ან სხვა რა-იმე სირთულე. ჩემი თანხა უპირობოდ ინახება სახელმწიფო ხაზი-ნაში, საჭიროა მხოლოდ კერძო შემთხვევა, პოლიტიკური ნება ქარ-თლოს ზაქარეიშვილის მიმართ.

ბოლოს და ბოლოს ამდენ ლაპარაკს ერთი პატარა საქმე სჭირ-დება...

პატივისცემით, მართლმად სწავლით, ვეკერანი, ძ. თაბლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მესნიერებათა აკადემიის განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მესნიერებათა აკა-დემია აცხადებს კონკურსს აგრარულ სფეროში წლის სა-უკეთესო ქართველი მესნიერის ნოდების მოსაპოვებლად: 1. აგრარობის დარგში; 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების დარ-გში; 3. აგროსაინჟინრო დარგში; 4. ეკონომიკის დარგში.

ნოდების მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშ-რომებში წლის საუკეთესო ქართველი მესნიერის ნო-დებზე მიენიჭება ხელმძღვანელებს და ძირითად ავტო-რებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია ან აკადემიის საკონკურსო-საექსპერტო კომისია.

აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მესნიერებათა აკა-დემიის წლიურ საერთო კრებაზე დაჯილდოებული შრომის ავტორს ან ავტორთა ჯგუფს გადაეცემათ დიპ-ლომი და ფულადი პრემია;

აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეც-ნიერის ნოდების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშ-რომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სამეც-ნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს საგანმანათ-ლებლო სასწავლებლებში, სხვა დაწესებულებებში ან ცალკეულ პირთა მიერ. ნოდების მოსაპოვებლად შეიძ-ლება წარმოდგენილი იქნეს წინა ხუთ წელიწადში გა-მოცემული შრომები, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვი-სა განცხადების გამოქვეყნებამდე.

წლის საუკეთესო ქართველი მესნიერის ნოდების გა-ყოფა ორ ან მეტ მადიებელს შორის სხვადასხვა ნაშრო-მისათვის დაუშვებელია. საკონკურსო შემოსული ნაშრომის მესნიერული შეფა-სების შემდგომ საკონკურსო-საექსპერტო კომისია, რომე-ლიც ყოველი ნოდების მისანიჭებლად იქმნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მესნიერებათა აკადემიის საკოორდო-ნაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილებებთან, ნოდების მისანიჭებლად რეკომენდაციას უწევს მხოლოდ ერთ კანდი-დატს, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც ნოდების მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქარ-თველოს სოფლის მეურნეობის მესნიერებათა აკადემიაში უნდა წარმოადგინონ საკონკურსო შემდეგი დოკუმენტაცია: ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნოდების მესნიერულ შეფასებას და განმარტებას მეც-ნიერებისა და ქვეყნის აგრარული დარგის განვითარე-ბისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ; ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად; გ) მონაცემები ავტორთა შესახებ (ავტობიოგრაფია, სამეცნიერო შრომათა და გამოგონებებთა ნუსხა, მონა-ცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ - CV, სამუშაო ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი).

2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარ... 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარ...



ჩემი ძმის მოსაკლავად იყო საერთოდ ეს მუხროვანის სცენარი დადგმული. ეს იყო ჩემი ძმის გამიზნული ლიკვიდაცია...

4 და 5 მაისს სად იყო თქვენი ძმა? ხუთი დღის ჩამოსული იყო უკრაინიდან. 4 მაისის ღამეს ხუთის ხუთ წუთამდე ნარდს თამაშობდა...

იმ ღამეს ამბობს არაფერი უთქვამს? არა, ჩემი ძმა ისე ახლოს იყო ჩემს მუხროვანთან, რამე რომ ყოფილიყო...

როგორც ჩანს უკმაყოფილო იყო საბავშვო ბავშვის ხელისუფლებით... ყველა ნორმალური ადამიანი უკმაყოფილო იყო, ვინც უკმაყოფილო არ იყო...

იმ დროს თქვენი ძმა მუხროვანის ნაწილში როგორ მოხვდა? ჩემი ძმა უკრაინაში ცხოვრობდა, იქ თავისი ბიზნესი ჰქონდა და თბილისში 5 დღის ჩამოსული იყო...

ერთი წუთით დაეშვით მართლა ამბობს იყო, მაინც არ შეიძლება ახე ადამიანების ჩაწერა? ესენი კაცთმომღვლები არიან, მათი გეგმა იყო, ქართველი ხალხისთვის გენოციდს მოწყობდა...

სწორედ იმიტომ მოკლეს ჩემი ძმა, რომ პატრიოტი იყო და სამშობლო უყვარდა. ამათ - მიშას ხელისუფლებიდან, არც ერთს სამშობლო არ უყვარებია...

რატომ მოკლეს? იმიტომ, რომ მიშა არის მშობარა კურდღელი. ვინც მიშის სახელმწიფოს მართავდა, ყველა მანიაკია...

ლევან ამირიძე წერს, ჩვენ ვიყავით სახმედრო ნაწილში და მშვიდობიანად ვაპროტესტდით მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, სამხედროების მიმართ ზეწოლას...

კი, ბატონო, სამხედროებზე ზეწოლა იყო, მე თვითონ ვმუშაობდი ეროვნულ გვარდიაში 2010 წლის მარტამდე...

თქვენ თქვით, რომ მუხროვანის ენ. ამბობსამდე თქვენი ძმა უკრაინაში ცხოვრობდა, არა მაშინ სამხედრო მოსამსახურე აღარ იყო?

ჩემმა ძმამ პირველი ექსპერიმენტალური სკოლის შემდეგ სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა...

ქართველობის. მერე უკრაინაში სამხედრო აკადემია დაამთავრა. ის პირველი ნაკადის შემადგენლობაში იყო, რომელიც გაიგზავნა უკრაინაში 2007 წელს...

იგი უკრაინა-მოლდოვაში ატაშე იყო 2001 წლიდან 2003 წლის ჩათვლით. მოგვიანებით ჩემი ძმა სამხედრო მოსამსახურე აღარ იყო...

„პიტოვ ძმის რეაბილიტაციას, პიტოვ, რომ ეკვლებოდა პასუსი აბონ!“



რათ... ძალიან კარგად იცნობდა ის ბლუ თარგამაძე ჩემს ძმას. არ ვიცო, ლიკვიდაციის ოპერაციაში ვისი ხელი ერია და ვისი არა...

ან თქვენ ამბობთ, რომ ლიკვიდაციის ბრძანება პრეზიდენტმა გასცა? რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა გასცა. მაშინ გამოვიდა ტელევიზიით...

ახლა მე ვკითხვობ, თვითონ უნდა დადიოდეს დედამიწაზე? ან მაგისი ამფისონები უნდა დადიოდნენ? ციხე რა, უკვე ყელში ამოვიდა ამათი კოპაბიტაცია...

ლევან ამირიძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მან ლიკვიდაციის დროს დიანაზე მერაბიშვილი, უგულავა და გივი თარგამაძე... თვითმხილველები კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე არიან...

გაგრცელდა ხმა, რომ მისიელ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი ამბობს ორგანიზაციის ბრალდებათ გასამართლებულები ამზადდებენ... კი, ბატონო, უნდათ შეტანა, მაგრამ თავს იკავებენ, რადგან იციან, რომ აზრი არა აქვს...

სანდახან ვამბობ, ნეტა ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო, ან ფეხი მოსტეხოდა და იმ უკრაინაში დარჩენილიყო. მაგრამ იქაც მისწვდებოდნენ! შეიძლება ასე ერთი ხელის მოსმით ადამიანს მოლატეობა დასწავლოს? თვითონ არ არიან მოლატეობის, თვითონ საქართველო გაყიდეს...

და დღეს იმას ლავლავენ, განადგურდეს არაფერი არ უნდა განადგურდეს. როგორც კი ეს ვიდეოები განადგურდება, მაშინვე გამოვლენს ეს ურცხვები და იმას იტყვიან, ტყუილი იყო და მოგვიგონებს...

ჩემი ძმა ეროვნული მოძრაობიდან მოდიოდა, სამაჩაბლოს, აფხაზეთის ომები მოიარა, ნარბი არ შეუხრია, ნახევარი საქართველო იცნობდა და აუგს ვერავის ვერ ატყევივინებ...

2000 წელს, შევარდნის დროს, მუხროვანში მართლა იყო პროტესტი... მაშინაც თქვენი ძმის გვარი გახსნიან...

მაშინ წელიწადი და ექვსი თვე შეიარაღებულ ძალებში ხელფასები არ იყო გაცემული. მუხროვანში ერთად მუშაობდნენ. ასეთი ბევრი ოჯახი იყო. თვით ჯარის კვებაც კი ჭირდა. ჩემი ძმა ჯერ იყო სარდლის მოადგილე გვარდიაში...

ციხე როგორ უჭირდა მაშინ ჯარში? ბიჭები რეზინის, „მოლოპანტებით“ დგნენ ხოლმე საგულგობრვო, არ იყო საჭმელი, და სანამ „მუხროვანის პროტესტი“ იქნებოდა, ჩემმა ძმამ სკუთარი, „მერსედისი“ გაიყიდა...

ნამდვილად ვერ გაჭერდები. ძალიან დიდი პატივს ვცემ ბატონ ბიძინას, ერთადერთი კაცია, ვისი იმედიც კიდევ აქვს მთელ ერს, კაცი, რომელმაც ეს ჭირი ნახევრად მოგვაცილა და მოაცილა საქართველოს...

და კიდევ ის მინდა გითხრა, რომ ვიცი ჩემი ძმის უშუალო მკვლელები, ვინც შემთხვევით გამოჰკრა იარაღს ხელი და ესროლა, მართალია, მიშას ბრძანებით, მაგრამ ხომ ესროლა? ის დღეს თანამდებობაზეა...

არ შეიძლება, რომ ივანიშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს არ იცოდნენ. თუ არ იციან, გადასალონ 2009 წლის ივნისის თუ ივლისის უწყისებზე და ნახონ, 12-12 მასის ლარი პრემია როგორ ჩაიდეს...

სამშუბრო, რომ დღესაც აღმოჩნდნენ ამ ხელისუფლებაში მათი მფარველები. და ისიც ვიცი, ვინ არიან ეს მფარველები, მაგრამ ბოლომდე არ ვამბობ. იმ ფარულ ჩანანერში კარგად ისმის, ვინ არის... ის ფარული ჩანანერი ტელევიზიით გავიდა...

ქალბატონმა ლიამ ძმის საშინლად დასახიჩრებული ფოტოებიც მიჩვენა: „ყოველთვის ეჭვი მქონდა, რომ ჩემი ძმა ადგილზე მოკლული არ იყო. ამ სურათებს ვერ ვხედავ პრესაში, არ მინდა დედამ ნახოს...“

ლევან ამირიძეს სწყინდა, რომ ვუთხრებოდა ამ ჩემს აზრს, ხოლო როცა ფოტოები ვაჩვენე, თვითონაც შეცბა და მიპასუხა, ალბათ, გვაში დაჩვენესო. რატომ, რას ერჩოდნენ? ან ცოცხალს რას ერჩოდნენ, ან გვაშს?

და კიდევ ერთი რამ - შეხვედი ღვალაძეს, ვინც ჩემთან აღიარა, როგორი ზეწოლის შედეგად მისცა ფარული ჩანანერი. ეს ის ღვალაძეა, რომელიც 4 მაისს დააკავეს და ტელევიზიით გამოიყვანეს ჩემი ძმისა და სხვა პირების ვითომ სამხილებლად...

ლავლაძემ თვითონ მიაბო, როცა დააკავეს და სოღში მიიყვანეს, მას უთხრეს, რომ ოთანაძე აგავყვანდა, კრიალაშვილი კი „ტრუპი“ იქნებოდა. ანუ წინასწარ ჰქონდათ ჩემი ძმის მოკვლა განზრახვა...

„დღეს ჩემი ძმა მკვდარია. მიწაში მიწვეს, მაგრამ მე დღესაც ვამყობ ჩემი ძმის სამაგიეროდ ქვეს იხრან ჩემს წინაშე, როცა იგებენ, რომ ვიას და ვარ. ჩემთვის მათი ქედის მოხრა არაფერი შელავათი არ არის, მაგრამ დღეს დედაჩემს საქართველოს გმირის დედას ეძახის...“

ესაუბრა თაბარ შიავილაშვილი

სივარტლე კი ასეთია!

ბრიუსელში, ევროპარლამენტში, გაიმართა კონფერენცია თემაზე: „აფხაზეთი და ევროპა: ურთიერთგაგებისა და დაახლოების გზები“.

უპირველეს ყოვლისა, ღრმა სინანული მინდა გამოვთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავს ღონისძიებებზე არ იყო წარმოდგენილი აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების გამოხატველი ლეგიტიმური ხელისუფლება.

აღნიშნულ კონფერენციაზე, ბესლან კობახიას მოხსენებაში, სამწუხაროდ, ყოველი წინადადება სიყალბეს ან ნახევარ სიმართლეს შეიცავს. ავიღოთ თუნდაც ომში დაღუპულების თემა.

ბესლან კობახია ჩივის, რომ ომის შედეგად დაინგრა მეცნიერებისა და განათლების სისტემა... მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამ სისტემაში წამყვანები ქართველები იყვნენ.

აფხაზეთი – ყალბი, ნაძვილი

ლექს ერთი წლის განმავლობაში აფხაზეთა სახელით ბომბავდა. დანგრეული ქალაქის ალექსის შემდეგ სეპარატისტებმა ერთიანად მოსპვეს მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი პოეტების შოთა რუსთაველის, აკა-



კი ნერეთლის და სხვათა ძეგლები. სოხუმის დაბომბვისას დაზიანდა დიდი აფხაზის დიმიტრი გულიას ძეგლი, მაგრამ იგივე ძეგლი ხელუხლებელი დგას თბილისში.

მოსხენებაში აფხაზეთის ვითომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზეც არის ყურადღება გამახვილებული. დემოკრატია დემოსის გარეშე – ასეთია აფხაზეთი დემოკრატია.

ლიურ ენაზე სწავლა და სიმღერა ეკრძალებათ. ვფიქრობ, ასეთი „დემოკრატია“ დედამიწის ზურგზე მეორე არ არსებობს...

მოსხენებაში არის ერთი პასაჟი, რომლის მიზანია, ხაზი გაუსვას აფხაზეთა ევროპულობას ჯერ კიდევ რომის იმპერიის ხანიდან, რომ ისინი უძველესი ქრისტიანები არიან და ა.შ.

მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ბესლან კობახია კი საუბრობს იმ რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის განუღებ დიდ „დახმარებაზე“.

დასასრულს მინდა მივმართო საქართველოს მთავრობას, პირველ რიგში საგარეო საქმეთა და რეინტეგრაციის სამინისტროებს, ხელი შეგვიწყოთ ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რათა მან და არა სეპარატისტებმა აფხაზთა ევროპის, დანარჩენ მსოფლიოს, რა მასდა ოცი წლის წინ, რა ხდებოდა ომის დამთავრებიდან მოხდენილი წლების განმავლობაში.

აღნიშნული წერილი ასევე გადაეგზავნება ევროპარლამენტის სპეციალურ კომისიას განსახილველად.

მამუკა ვაშაქიძე

ტურიზმი

მშველბ ქვეყანა იმ საქონელს თუ მომსახურებას ჰყვინის შიდა თუ გარე ბაზარზე წარმატებით, რომელიც უფრო ხარისხიანია და სხვებთან, ანუ კონკურენტებთან შედარებით, უფრო იაფიცაა.

აკი გვეუბნებოდნენ კიდევ – ქვეყანას ტურიზმი ააყვავებსო, თანაც მაინცდამაინც არც გვიმალავდნენ, რომ მოსახლეობა ამ დროს უმთავრესად მომსახურების სფეროში უნდა ყოფილიყო დასაქმებული.

თუკი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში ტურიზმის წილზე ვილაპარაკებთ, იგი 6 პროცენტს ოდნავ აღემატება, ანუ საკმაოდ მოკრძალებული პოზიცია უკავია, თუმცა კი მისი გაზრდის პოტენციალი საკმაოდ დიდია.

„ოთხი ვეუაპის“ ნიშნით

მის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ტურისტები ქვეყნის საზღვრის გადმოშვებით კაცია, რომელმაც იქ ერთი ღამე მაინც გაათია.

საქართველოში ყოველწლიურად შემოსულ უცხოელ მოქალაქეთაგან ასეთი დაახლოებით 5 პროცენტია, ხოლო წლის დამდეგიდან, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მათი რიცხოვნობა ერთი მესამედია გაზრდილი და, სავარაუდოდ, დარჩენილ დროში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება.

საქართველოში წელს მთლიანად დაახლოებით 3 მილიონ ტურისტს ელიან.

ამ მხრივ საინტერესოა წინასწარი სტატისტიკა. ტურისტების საგრაუდო ოფნობის დაახლოებით 40 პროცენტი, ანუ მილიონზე მეტი კაცი საქართველოში შეგზულებას გაატარებს ორგანიზებულად, ანუ ჯგუფებად.

ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლება: ვთქვათ, სამთო-სათხილამურო კურორტებში, არასეზონურ პერიოდში, სასტუმროში ერთი კაცის დღე-ღამური გადასახადი დაახლოებით 70-100 დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ბევრ პოტენციურ ტურისტს გვაკარგინებს.

გად გაირკვა, რომ ჩვენში უცხოელ ტურისტებს, უწინარესად იზიდავს ეროვნული სამზარეულო, მეორე მიზეზია ქართული ღვინოები, მესამეზე – ბუნებრივი მომხიბლობა, მეოთხე ხალხის სტუმართმოყვარეობა.

აი, ესაა ის „ოთხი ვეუაპი“, რომელთაც საქართველოში ტურიზმის განვითარება სხვაზე უნდა დაეყრდნოს, თუმცა გასაკეთებელი, თუნდაც ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, აუარება საქმეა.

ერთი კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლება: ვთქვათ, სამთო-სათხილამურო კურორტებში, არასეზონურ პერიოდში, სასტუმროში ერთი კაცის დღე-ღამური გადასახადი დაახლოებით 70-100 დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ბევრ პოტენციურ ტურისტს გვაკარგინებს.



ტივის გათვალისწინებით რეალურად (და არა მხოლოდ დეკლარირების სახით, როგორც ეს წლების მანძილზე ხდებოდა) დასამუშავებელია მისი ისეთი პოპულარული სახეობები, როგორებიცაა საოჯახო, აგარული, სათაგადასავლო, ღვინისა, ინკლუზიური (ანუ შეზღუდული უნარის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილი) და სხვა.

საქართველოს ტურისტულად უფრო მეტად მიმზიდველ ქვეყანად გადაქცევა მომსახურების ხარისხისა და პოტენციურ ტურისტთა ფართო წრეებისთვის ხელმისაწვდომობას უნდა დაეფუძნოს.

ამასთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ამჟამად მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის კონცეფციაზე, რომელიც წლის მიწურულამდე დასრულდება.

ყოველწეუ ზემოაღნიშნულთან ერთად, ეროვნულ სააგენტოში „ტურიზმის ელჩების ინსტიტუტის“ შექმნას აპირებენ. მისი არსი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ტურიზმის ელჩები ის ავტორიტეტული პირები იქნებიან, რომლებიც ქვეყნის პოპულარიზაციას ადგილობრივ მოსახლეობაში გასწევენ.

ოთარ ტურაბაიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საბარტომეოს პარლამენტის ექსტრემიზმის დეპარტამენტი... „დემოკრატიული მოძრაობის“...

რას არ მოგწონთ მმართველი კოალიციის პოლიტიკაში რუსეთთან დამოკიდებულებაში?

არ არის საკმარისი კომპეტენცია, ცოდნა, რაც მნიშვნელოვანია, ვაჟკაცობა — უნოდოს საგნებს თავისი სახელები...

გამოდის, რომ თუ არჩევნებს მოიგებთ, განზრახული გაქვთ იყოთ ოპოზიციაში „ქართულ ოცნებასთან“?

არა, იმიტომ, რომ მესმის: არჩეული პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს ოპოზიციაში...

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები გვიჩვენებენ, რომ არჩევნებში მოსალოდნელია მეორე ტური. რეიტინგების მიხედვით, მასში მოხვდებიან კანდიდატი „ქართული ოცნების“ და „გიორგი მარგველაშვილი და, ალბათ, თქვენ...“

ობიექტური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მეორე ტური იქნება, და დარწმუნებული ვარ...

ყველა სფეროში. მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები — სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები...

„რუსეთთან ურთიერთობის მოუნესრიგებლად ჩვენ განვიტარებულ სამართლებრივ პერ სპეციალურ“



სამართლებრივ პერ სპეციალურ კანდიდატი ნინო ბურჯანაძე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სააკაშვილთან დაკავშირებით...

ლემებს. რეალურად პოზიტიური ნახტომები არ განხორციელდა. რაც შეეხება საერთაშორისო არენას...

როგორ აქვთ აზრი ამჟამინდელი პრეზიდენტის ბედი, თუ არჩევნებს თქვენ მოიგებთ?

ხელისუფლებაში რომ მოვალ, უზრუნველყოფ ვაქცავთ სააკაშვილის რეჟიმის დროს მომხდარ დანაშაულებათა...

ვფიქრობ, ცოტაა თუ აღმოჩნდება ისეთი გაბედული, ვინც დადგება სააკაშვილის და იმ ხალხის დასაცავად...

მ აგვისტოს წ წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაიწყო საქართველოსა და რუსეთის ომი. შეიძლება თუ არა თავიდან აცილება?

ერთმნიშვნელოვნად მოგახსენებთ. — დიახ. მართალია, მე გადავადექი მანამდე 4 თვით ადრე და არ ვიცო, საკმარისი იქნებოდა თუ არა...

რამდენიმე დღით ადრე მ აგვისტოს, უკვე ხელისუფლებაში ჩემი არყოფნის დროს. მაგრამ გუნდი ეუბნებოდა მას, რომ რუსეთს დაუბრუნებული ტანკები ჰყავს...

თუ არჩევნებს მოიგებთ, როდის განახორციელებთ პირველ ვიზიტს?

როდესაც 2003 წელს მე პირველად გავხდი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი...

თქვენი კომპიუტერის მონიტორზე თქვენი მეუღლის, გენერალ ბადრი ბიანაძის ფოტოა, რომელიც 2 წლის წინათ დაუსწრებლად გაასამართლეს...

ეს ფოტო სწორედ იმდროინდელია, როდესაც ქმარი გვერდით აღარ მყავდა.

ჩალიან ძნელი იყო. სხვათა შორის, აი კიდევ ერთი დადასტურება დასავლეთში ზოგიერთი პიროვნების ორმაგი სტანდარტისა...

დედაჩინის ჯურჯა



სინაიში მიმდინარეობს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მოთარაზობა შორის

22 ივლისის ღამით დაიღუპა, სულ ცოტა ექვსი კაცი, კიდევ 11 დაიჭრა. მოთარაზებმა განახორციელეს რამდენიმე თავდასხმა...

ჩინეთში მოხდა 6,6 მაგნიტუდის მიწისძვრა: არის მსხვილი, „დაღუპულთა რაოდენობას ითვლიან“




პირველ ბიძგს მოჰყვა მეორე — მისი მაგნიტუდა 5,6 იყო. ეპიცენტრი: ქვეყნის ჩრდილო — დასავლეთითა, დინის მარხის განსხვავებული პიროვნება...

ლა-მანის თავი და იმსხვრა აზრ-ში დარბაზისტი რეპრეზენტატიული მსუბუქი ტერორი-ნი თვითმფრინვაში



ერთმთხრონიანი თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაგინდის კონცხიდან 24 კილომეტრში. მის ბორცვზე 1 კაცი იმყოფებოდა. ავარიის საფარაუდო რაიონისკენ გაემუშვნენ სამაშველო ჯგუფები...

სიურპრიზების გარეშე: იაპონიაში პარლამენტის წევრმა პარლამენტის პარტიის ხელმძღვანელმა სინძო აბემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური სისტემა ქვეყანაში გახდა სტაბილური“.



კიულო

თითო „ოქრო“ და „ბრინჯაო“



მოსკოვში დამთავრდა „დიდი სლემის“ ტურნირი, რომელშიც ჩემპიონობა მოიპოვა ამირან პაპინაშვილმა (60), ზეზედა რესვი-აშვილი (73) კი მესამე ადგილზე გავიდა. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავეს ზვიად გოგოჭურმა (90) და ლევან მათიაშვილმა (+100), მაგრამ დამარცხდნენ და მეხუთე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის მეოთხე ადგილი გვეროს.

მაოდ დახვეწა ოსტატობა, რაც ახალი მწვრთნელის – ირაკლი უზნაძის დამსახურებაა. მოსკოვური „სლემის“ პირველ წრეში იგი ისვენებდა, მეორეში იპონით დაამარცხა ჰოლანდიელი ევროპის ორგზის მედალოსანი ხეროენ მორენი, მერე აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი ილგარ მუშკიევი, ვისთანაც აქამდე სამჯერ მოეგო, ამჯერად შებოჭვით ჩამოიშორა. მის გზას გაუყენა სომეხთა მსოფლიოს პრიზიორი და ევროპის ორგზის

ვიცე-ჩემპიონი ჰოვანეს დავითიანი. ფინალში ჩვენებურის მეტოქე იყო ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი ფელიპე კიტადაი. პაპინაშვილმა იგი ვადამდე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა, რითაც 500 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. პროგრესი ეტყობა ზეზედა რესვიანშილსაც – ეს მოსკოვურმა ტურნირმაც დაადასტურა. მან პირველ წრეში წაღწა უკვე მეორედ მოუგო რუს მურად კოდოკოვს, მერე იპონით აჯობა ბრაზილიელ მარსელო კონტინის, თუმცა მეოთხედფინალში არაობიექტური მსაჯობით ევროპის ჰოლანდიელ ჩემპიონ დირკ ვან ტიხელტთან დამარცხდა. სანუგეშოში გადართულმა ამერიკელი ნიკოლა დელპოპოლო დაჯაბნა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი მონლოლი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი ცაგანბატარ ხაშბატარი დაამარცხა იპონით. საბოლოოდ მე-3 ადგილი და 200 სარეიტინგო ქულა ერგო. ახლა ჩვენი ნაკრები მოსკოვიდან სოჭში გადაინაცვლებს, სადაც ერთკვირიან სანჯვრთნელ კემპში მიიღებს მონაწილეობას. ეროვნული გუნდის წევრებს შევრებაზე ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66), ევროპის ვერცხლის მედალოსანი ნუგზარ ტატალაშვილი (73) და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) დაემატებიან.

ფეხბურთი

მათ სტეროტიპი დაამსხვრიეს



მინ მოთვლის, რამდენჯერ გვსმენია შოთა ნიშნიანიძის უკვდავი, სამშობლოს მომავალზე ზრუნვით ნასაზრდოები სტრიქონები: „ეპეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?“ საქართველოს 19-წლამდელთა შთამბეჭდავი თამაშის შემხედვარე სიამაყით ვპასუხობთ: ქართულ ფეხბურთში დიხაც მოდის სახელოვან ნინაპართა ტრადიციების ერთგული ღირსეული ცვლა, რომლის შემდგომ დაოსტატებასა და ტალანტის გაფორმებას შესაბამისი კვალიფიკაციის მწვრთნელი სჭირდება. რაც შეეხება გიორგი ცეცაძეს, მან უკვე მოახერხა უმთავრესი: შეგირდებს გამარჯვებულთა ფსიქოლოგია ჩამოყვარ-

ლობა და ისინი ყველასთან ტოლ-სწორად საბრძოლველად გამოდიან სარბიელზე. მოდით, ამჯერად ეს ვიკმაროთ, რადგან მაინც ჭაბუკებთან გვაქვს საქმე და, ღმერთმა ნუ ქნას, შესაძლებელია ბიჭებს ქება დათვური სამსახური გაუწიოს. **ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდი. ლიტვა. ჯგუფური ტურნირის | ტურნი. საქართველო – საფრანგეთი 0:0, სერბეთი – თურქეთი 2:1, ლიტვა – ჰოლანდია 2:3, ესპანეთი – პორტუგალია 1:0. დღის იტაგაგაგაგა: საქართველო – სერბეთი, თურქეთი – საფრანგეთი, ესპანეთი – ჰოლანდია, ლიტვა – პორტუგალია.**

ლაზა დიდი

გიორგი შოთაძე

ოლიმპიური ფასტივალი

გარსკლბეგზე ჩობურთელები ავიდნენ

ჰოლანდიურ უტრეხტში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი. ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენებურთაგან კვარცხლბეგზე ჩობურთელებიც ავიდნენ – ბრინჯაოს მედლები ანა ახალკაცმა და მარიამ ბოლქვაძემ მოიპოვეს. ქართველებმა ნახევარფინალი ტურნირის რეიტინგფავორიტებთან – ვიქტორია კუზმოვასა და ტერეზა მიხალიკოვასთან (სლოვაკეთი) დათმეს 2:6, 3:6 და მესამე ადგილისთვის ანა გაბრიჩისა და ვივიან ვოლფის (გერმანია) ძლეულ (0:6, 7:5, 10:7) რუსებს – დარია კრუჟკოვასა და ტატიანა ნიკოლაევის დაუპირისპირდნენ. პირველი სეტი ქართველებმა მოიგეს – 7:5, მეორეში ჩრდილო-



ელმა მეზობლებმა იმარჯვეს – 6:3, მესამე ხელი კი ჩვენებისა იყო – 11:9, რამაც ანას და მარიამს ოლიმპიური ფესტივალის ბრინჯაო მოუტანა. ფინალში კუზმოვამ და მიხალიკოვამ გაბრიჩისა და ვოლფს აჯობეს – 6:4, 6:2.

ვივი გაგა

ჩობურთი

რეიტინგის „გერმანულ-იტალიური“ ცვლილებები

იტალიელმა ფაბიო ფონინი გერმანიის ქალაქებში შტუტგარტსა და ჰამბურგში ერთი კვირის განმავლობაში მიჯრით 2 პრესტიჟული ტურნირი მოიგო და საკუთარ კარიერაში სპრინგლად შეაღწია პლანეტის საუკეთესო

სადღეისოდ მეთერთმეტე პოზიციამდე. ქალთა რეიტინგის პირველ ათეულს რაც შეეხება, აქ ერთადერთი ცვლილებაა – ჩეხმა პეტრა კვიტოვამ უიმბლდონის ფრანგ ჩემპიონ მარიამ ბარტოლის გადასწრო და მერვე საფეხურზე დამკვიდრდა, მეორე ათეულში კი ბელგიელი კირსტენ ფლიპკენსი, ამერიკელი სლოან სტივენსი და ესპანელი კარლა სუარეს ნავარო დასწინაურდნენ.

ნა) 4500, 8 (8) ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 3480, 9 (9) რიშარ გასკე (საფრანგეთი) 3045, 10 (10) სტანისლას ვაგრინეა (შვეიცარია) 2915

მანუარ გიორგაძე



მოთამაშეთა მონაწილე ოცეულში. აქამდე ფონინის საუკეთესო მიღწევა კლასიფიკაციის 24-ე ადგილი გახლდათ. წინ წინა იაპონელმა კეი ნიშიკორიმაც, რომელიც

დავიდ ფერერი (ესპანეთი) 7120, 4 (4) რაფა ნადალი (ესპანეთი) 6860, 5 (5) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 5785, 6 (6) ტომას ბერდისი (ჩეხეთი) 4865, 7 (7) ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)

კალათბურთი

„არმია“ 2013-14 წლების სეზონს დაიბრუნებს

საძბრთმელის ორგზის ჩემპიონი „არმია“ ძირითადად გამოცდილი, ქართველი კალათბურთელებით იქნება დაკომპლექტებული და, აღნიშნულიდან გამომდინარე, 2013-14 წლების საკალათბურთო სეზონს ლეგიონერების გარეშე ჩაატარებს.



ამის შესახებ „არმიის“ მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტულუშმა განაცხადა. „მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონერები არ გვეყოლება, ვეცდებით, დაკარგული პოზიციები დავიბრუნოთ“, – ამბობს ტულუში. შეგახსენებთ, რომ მსოლოდ სამი წელია, რაც „არმია“ არსებობს. თუმცა ამ ხნის განმავლობაში საქართველოში მოქმედი ყველა ტიტული (ჩემპიონატი, თასი, სუპერლიგა, დუდუ დადიანის მემორიალი, ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალი) მოიგო, ხოლო 2012-13 წლების სეზონში

„ძალონები“ მსოლოდ დადიანის მემორიალის მოგებით და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდნენ.

დავქნეთ, რომ ამ დღეებმა არ მიეღებმა სპორტკომპლექს „არენაში“ საქართველოში გამართულ პირველ წინასასეზონო კემპს უმასპინძლეს, სადაც ქვეყნის რეგიონებიდან ჩამოსული 150-მდე პერსპექტიული ჭაბუკიანი საუკეთესონი შეარჩიეს და მათთვის 11 აგვისტოს მორიგი გაცხრილვა მოეწყობა.

ვიტალი ჯაფარიძე

ველოსპორტი

საიუბილეოს დაურეატიები

22 ბუნდში გაერთიანებული 25 ქვეყნის 198 წარმომადგენელი მონაწილეობდა მესამე „ტურ დე ფრანსში“, რომლებმაც 21 ეტაპად დაფოფილი 3404-კილომეტრიანი დისტანცია დაფარეს. აღსანიშნავია, რომ ფინიშამდე 169-მ მიაღწია.

ყველაზე პრესტიჟული ველორბოლა ზედიზედ მეორედ მოიგო ბრიტანელმა – კრიტოფერ ფრომმა („სქაი“) ღირსეულად აიტაცა ესტაფეტა შარშანდელ ტრიუმფატორ ბრედლი ვიგინსისგან. მან ღიდერობა მერვე ეტაპიდან იგდო ხელთ და, სხვათა შორის, ორ სამთო მონაკვეთზეც გაუსწრო ყველას.



ტრადიციისამებრ, ელისეის მინდვრებზე ცალკეული ნომინაციების ლაურეატებიც დაჯილდოვდნენ. ესენი არიან საუკეთესო სამთო და ახალგაზრდა მრბოლი, კოლუმბიელი ნაირო კინტანა („მოვისტარი“), რომელმაც საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა, უძლიერესი სპრინტერი პეტერ საგანი (სლოვაკეთი) და ყველაზე აგრესიული სტაიერი კრისტოფ რობლონი (საფრანგეთი).

რაც შეეხება გუნდურ ჩათვლას, შეუდარებელი გახლდათ დანიური „საქსო ტინკოვი“.

როსტოპ რაჭველიშვილი

შაბათ-კვირის ჩანაწერი

სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობა,

ანუ „თუკი წინაპართ შათობით ვერ დააპყნის ქართული... შენ დღეს რა ღმერთი გაბიწყრა?“

პრობლემა, რაზეც ქვემოთ უნდა ვისაუბროთ, არახალია, თუმცა სასიკეთო ძვრები მის გადასაჭრელად, არა და არ იგრძნობა. ჩვენ (ქრისტიანული) „ვეფხვთ“, „ქარავანი“ (ვისაც ეხება ჩვენი კრიტიკა) კი მიდის, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამინა ქალამნად.

ქრისტიანული მასშედი, კი ბატონო, მაგრამ ეს ზოგადფორმული პრობლემა, რა გასაკვირია, საერთოდ აწუხებს უამრავ ქართველს, კერძოდ, ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას. ეს პრობლემა, რომელიც ჩვენ ვერა და ვერ გადაგვიწყვეტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს არსად, მეტადრე, „ფუნდამენტურ“ ევროპულ ქვეყნებში. როგორ, საკუთარი ენის იგნორირება?.. როგორ, ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, ესპანურის... ფუნებზე დაკიდება ამ ქვეყნების მონასტრებისგან? წარმოუდგენელია!

მიგვიხვედით ხომ, ძვირფასო მკითხველო? ისევ და ისევ უცხოენოვან წარწერებზე და მშობლიური ენის უგულვებლყოფაზე გვაქვს საუბარი დღესაც, როგორც მრავალჯერ, მაგრამ ვერა და ვერ გადავჭყრით ეს პრობლემა, თითქოს სრულიად უბრალო — ჩვენს დედაქალაქში, ჩვენს ქალაქებში უამრავი შენობა-ნაგებობებზე უცხოური წარწერის გვერდით, ჩვენი „საცოდავი“ ქართულიც ჩანდეს!

ამ პრობლემას, რა გასაკვირია და, შეუწუხებია ჩვენი ქვეყნის მთელი ცნობიერებით გაფლენილი ადამიანები — მსაბჭოლოს-კონსტრუქციონერი ნოდარ რუჩუა, ხელმწიფობის დამსახურებული იმდენი ანგულო ქართველი და ხელმწიფობის დამსახურებული ნოდარ რუჩუას სამხატვრო სალონში შემგდნენ და ამ საკითხზე თავიანთი გულსტიკივილი ამოთქვეს:

— ყველაზე დიდი საუნივე ქართველებისთვის, — ამბობენ ჩვენი ხელოვნების მოღვაწენი, — სწორედ რომ ქართული ენაა, რაც ერის თვითმყოფადობის, მისი კულტურის უპირველესი ნიშანია. ბუნებრივია, დიდ გულსტიკივს ამ ფასდაუდებელი განძის უპრეცედენტო იგნორირება. თბილისის, და არა მარტო თბილისის, საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებს რომ გაუყვეთ, შეგუქმნებათ შთაბეჭდილება, რომ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებით, ისეა აჭრელებული უცხოენოვანი წარწერებით და უგემოვნო ფირნიშებით ყოველი კუთხე-კუთხულო, მშობლიური ენა კი მივიწყებული შეურაცხყოფილია;



სხირ შემთხვევაში მხოლოდ ინგლისურენოვანი ან სხვა ენათა (ჩინური, არაბული, თურქული, იტალიური და სხვა) ტყვეობაში ვიმყოფებით. ეს ხომ ჩვენი სირცხვილია, ეს სირცხვილი კი ნასაზრდოებია ქართველთა ისტორიული სენით — დაუდევრობით, მოვლენათა შეუფასებლობით, უფრო უარეს შემთხვევაში კი, სხვათა მამებლობით... რით ვერ განვიკურნეთ ამ ქრონიკული სენისგან, როგორ უნდა გავუსწოროთ თვლი მონაგვალ თაობებს?! დღესვე თუ არ დავარისხეთ განგაშის ზარები, ხვალ უკვე გამოუვალი დილემის წინაშე აღმოვჩნდებით. ანალოგიური სიტუაციაა რეკლამებით აჭრელებულ მოთხარს საქართველოში. ქართული ანბანის გრაფიკული მოხაზულობა ლათინურიდან ნასესხებ

გაურკვეველი ფორმების ასოციაციებს იწვევს, რითაც მიზანმიმართულად უკუგდება ქვეყნი ანბანის განუმეორებელი კოლორიტი. მართლაც, ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ჩვენი ხელიხელ-საგომანები ქართული ენა, სამარცხვინოა, როდესაც თბილისის ცენტრალურ ქუჩებზე ვკითხვართ: „კომპიუტერული მომსახურება“ და სხვა უხეში შეცდომებით გაჯერებულ სარეკლამო წარწერებს. ამას ვილატ ხომ უნდა აკონტროლებდეს?! როგორც იტყვიან, სრული განუკითხაობა ამ სფეროში, რაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღიკვეთოს.

რომელ ერთ უმსგავსო ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება?! ამის ჩამოთვლას ალბათ გაზეთის მთლიანი ნომერი არ ეყოფა! ქართული ენა თუ



სახელმწიფო ენაა, იურიდიულად და არა ფორმალურად, მაშინ სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა, დაანესოს სრული კონტროლი ამ ანონიმური სიტუაციის აღმოსაფხვრელად. ვფიქრობთ, აუცილებელია შეიქმნას ქართული ენის სინმინდის დამცველი ორგანო რაიმე სტატუსით, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალაქ თბილისის ჰყავდეს მსატყვარი, რომელიც იზრუნებს იმაზე, რომ დედაქალაქს შეუნარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

„გვაბატით, საპირფარეოს ვერ მიგვასწავლით?!“

დამბრძოლი ქართულ, რუსულ, ინგლისურთ ხშირად გვეკითხებიან ხოლმე ალექსანდრეს ბაღის „ბირევიკებს“ ამგვარ-ჩამომვლელი ტურისტები: „გვაბატით, საპირფარეოს ვერ მიგვასწავლით?!“ რა თქმა უნდა, ვასწავლით, ზედა ბაღზე ვუთითებთ, რომელიც ბარე ორასი მეტრითაა ჩვენგან დაშორებული, მერე კი საბუღალუნო გვემატება — აქაც, ბაღის ქვედა მხარესაც რომ აუწინებინათ ერთი საპირფარეო, ვითომ, ძვირად დაუჯდებოდა ქალაქის მერიას? როგორც ამბობენ, ისედაც ბარე 5 მილიონი ლარი დახარჯულა ამ ბაღის „რემონტზე“.

ძვირფასო მკითხველო, ცოტა უპაცრავად კი ვარ, მაგრამ საპირფარეოების თემა და პრობლემა კარგა ხანია ტრიალებს ჩვენს დედაქალაქში. მასხოვს, ვერ ვიდეგ კომუნისტების დროს, ფეხბურთის მატჩის შემდეგ ვაკიდან, „ლოკომოტივის“ სტადიონიდან რომ მოვიჩქაროდით გულშემატკივრები, ზოგი იმასაც ცდილობდა, როგორმე „მიესწრო“ ოპერის გვერდით აბაშიძის ქუჩის ჩასასვლელში მდებარე საპირფარეოში და იქ „მოეთქვა“ სული.

კი, ბატონო, ასე იყო, მისხალს არ ვაჭარბებ. ჭავჭავაძის გამზირიდან რუსთაველის გამზირამდე საპირფარეოს ვერ ნახავდით. მას შემდეგ რაღა აღარ გადავიტანეთ, ის ერთადერთი საპირფარეოც აიღეს ოპერის გვერდით. ჰოდა, რაშია საქმე, ხალხო, პატივცემულ ქალაქის მერო, რომელსაც, ვითომ, თბილისის კეთილმონყობა-გაცობხტავეების საკითხი კოზირივით გიჭირავს ხელში?! დღეს, როდესაც იმას მოვესწარით, რომ მილიონობით ტურისტი სტუმრობს ჩვენს დედაქალაქს, რა მოხდებოდა, ვთქვათ, რუსთაველზე, „პლენაროზე“ ერთი-ორი საპირფარეო აგეშენებინათ, რომ, შინაურსაც და სტუმარსაც, ბუნებრივი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა?!

ჰოდა, გიგი, გინდა, კეთილად მოგიგონონ თბილისელებმა?! აგვიშენე ქალაქის ცენტრალურ უბნებში საპირფარეოები და წაადი!.. უკეთეს საქმეს ვერ გააკეთებ!

ვილენ მარაღაიშვილი

ქველმოქმედება

ქალთა საბჭო ღუსობორიაში

შმალ თვალს მოგტაცებთ პანია სახლები მოჩუქურთმებული ფანჯრებით და ცისფრად შეღებილი დაბრახებით, მამლებით მონატული სახურავებით; ზღვის დონიდან 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე, მინაწერილებითა და ჭების ონიარებით. ეს სოფელი გორელთაგაა, სადაც წარმატებით დასრულდა საქველმოქმედო აქცია საქართველოს მთებში მყოფ „ღუსობორიაში“.



აქციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ქალთა საბჭო (თავმჯდომარე აკადემიკოსი მზექალა შანიძე), „დედათა და ბავშვთა დიაგნოსტიკური ცენტრი (დირექტორი ლალი გუჯაბიძე). აქციაში მონაწილეობდნენ ექიმები: თერაპევტი, პროფესორი ნათელა ბასიშვილი, კარდოლოგი — ნატა ხითარიშვილი, ოფთალმოლოგი — ნონა ჩხარტიშვილი, ექოსკოპისტი — ნინო დოლიძე; აქციის ხელშემწყობი და თანამდგომი იყო საქართველოში რუს ქალთა კავშირი „იაროსლავნა“ (თავმჯდომარე, ალა ბუქენცევა). ექიმებმა გამოიკვლიეს 80-100 ადამიანი: ღუსობორები ხულოს რაიონიდან ჩასახლებულები, სომხები.

ეს აქცია პირველადი დახმარების წამლებით უზრუნველყო „ავერსის“ საქველმოქმედო ფონდმა (დამფუძნებელი პაატა კურტიანიძე), რომელიც ქალთა საბჭოს ყველა საქველმოქმედო ღონისძიებაში ესმარება და ყველა აქციის აქტიურ მონაწილედ არის მიჩნეული. ასევე ქალთა საბჭოს ყოველთვის მხარში უდგას ჯანმრთელობის მომსახურების კომპანია (დამფუძნებელი ლალი გვანცელაძე).



საქართველოს ქალთა საბჭო თითოეულ მათგანს ემადლიერება დამხარებისა და თანადგომისთვის. აღსანიშნავია, რომ სოფელი გორელთაგა XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულმა ღუსობორებმა დააარსეს.

სეს. ღუსობორები მათ 1785 წელს არქივის კოპოსმა ამბროსი უწოდა. გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ე. ნაკაშიძემ პირველმა მიაპყრობინა ყურადღება ტოლსტოის ღუსობორების მძიმე მდგომარეობაზე.

ნატა ნიგლაძე

სურათიზე: აქცია სოფელ გორელთაგაში.

ინფორმაცია

გედიკაპენტაგონის არაკანონიერად ფარმაცევტული პროდუქციის მიმოქცევის წესების დარღვევაზე შესაძლოა პასუხისმგებლობა გამაკრდეს. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დეპუტატ კობა დავითაშვილის საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს, რომელიც არსებული ჯარიმების გაორმაგებას ითვალისწინებს. ამავდროულად ფარმაცევტულ საშუალებებზე ჯარიმები ისეთ მედიკამენტებთან დაკავშირებით, რომელიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება და რომელთა მიღება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე. როგორც პროექტის ავტორი განმარტავს,

გასაღებაჲ კანონი გამკასრდება

ცვლილებების მომზადება განპირობებულია ქვეყანაში ე.წ. სააფთაპო ნარკოტიკების მომრავლებებით, რომელიც უმძიმეს შედეგს იწვევს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, რის გამოც, აუცილებელია საჯარო მოსახლეობის მკვეთრი ზრდა. დავითაშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი საკმაოდ სოლიდურ ჯარიმებს ითვალისწინებს. ინტერპრესი



ცხსტი

ზინა ხართ სულით — უინაყუდა თუ დროსტარების მოყვარული?

ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ ზინა

- 1. მოგწონთ ახალი ადამიანების გაცნობა?
- 2. ყოველთვის გიხარიათ მეგობრების ნახვა, თუ ისინი მოულოდნელად „დაგესხმიანთაგს“?
- 3. როდესაც დასასვენებლად მიდიხართ, ჩვეულებრივად ხალხმრავალი კურორტი გირჩევენიათ წყნარ და მშვიდ ადგილს?
- 4. მოგზაურობაში თუ დასვენების დროს ადვილად ნახულობთ ახალ ნაცნობებს?
- 5. გიყვართ დისკოთეკები და ხმაურიანი ბარები?
- 6. მოგწონთ საღამოს შეხვედრების ორგანიზატორად ყოფნა?
- 7. გიყვართ ბავშვები?
- 8. ხშირად ლეზულობთ ისეთ სახეს, რომ არ ხართ სახლში, როდესაც არასასიამოვნო მომსახურებას სვამთ?
- 9. წარმოიდგინეთ, რომ სტუმრად გთავაზობენ კერძს, რომელიც არ მოწონებთ?



- 10. გიყვართ დისკოთეკები და ხმაურიანი ბარები?
- 11. მოგწონთ საღამოს შეხვედრების ორგანიზატორად ყოფნა?
- 12. გიყვართ ბავშვები?
- 13. ხშირად ლეზულობთ ისეთ სახეს, რომ არ ხართ სახლში, როდესაც არასასიამოვნო მომსახურებას სვამთ?
- 14. წარმოიდგინეთ, რომ სტუმრად გთავაზობენ კერძს, რომელიც არ მოწონებთ?

შეკითხვები — 1-12, 14-17, 20, 21, 24, 25 — ყოველ დღეში პასუხი და შეკითხვები — 13, 18, 19, 22, 23 — უარყოფით პასუხზე დაიწყოთ თითოეული ძულა. შეაჯამეთ ძულები და გააცანით დასკვნებს

0-7 ძულა. როგორც ჩანს, თქვენ უფრო გიყვართ მარტო ყოფნა, ვიდრე დროის ტარება მრავალრიცხოვან კომპანიაში. ალბათ, თქვენ უფრო მყუდროდ გრძნობთ თავს საინტერესო წიგნის კითხვის დროს, კომპიუტერის მონიტორის ან ტელევიზორის ეკრანის წინ, ვიდრე წახვიდეთ ხმაურიან საღამოს შეხვედრაზე. ის, რომ თქვენ, როგორც ჩანს, სასვენებელი თვითკმაყოფილი ადამიანი ბრძანდებით და არ ხართ მონეტონი საკუთარ თავთან, — კარგია, ოღონდ ნუ ჩაიკეტებით თქვენს სამყაროში, ვინაიდან მომავალში ამან შეიძლება წამდვილ მარტობაში მიგიყვანოს.

8-15 ძულა. მშოთვარე სეირნობებს თქვენ პრინციპულად მშვიდად ხვდებით. სასვენებელი კმაყოფილი ხართ, როდესაც საღამოს ატარებთ ვინცო სასიამოვნო წრეშიც. თქვენ მოგწონთ ურთიერთობა იმ ადამიანებთან, ვისაც თქვენი ესმის, ხშირად თქვენ ინტუიტიურად გრძნობთ, როდესაც აუცილებელია, უბრალოდ უსმენდე და როდესაც დგება შესაფერისი დრო საკუთარი რეპლიკის სათქმელად. მეგობრებსა და კარგ ნაცნობებს უხარი-ათ თქვენი ხილვა თავიანთ დღესასწაულებზე.

16-25 ძულა. თქვენთან, ეტყობა, საქმის ქონა, კონტაქტების დამყარება სასიამოვნოა. გიყვართ ადამიანებთან ყოფნა და, უეჭველია, თქვენ ყველაზე მეტად ბედნიერი ხართ, როდესაც ხვდებით მათს ყურადღებას თქვენდამი, იმყოფებით მხიარულ კომპანიაში.

მელსაც თქვენ, პრინციპულად, არ ჭამთ. გასინჯავთ მას ზრდილობის გულსთვის?

15. გიყვართ დახმარების გაწევა ადამიანებისთვის?

16. თქვენ როდესმე დაგინყვიათ პირველს გულითადი საუბარი უცნობ ადამიანთან მატარებელში ან ავტობუსში?

17. ულოცავთ ახალ წელს ან სხვა დღესასწაულებს ადამიანებს, რომლებიც არც თუ ძალიან მოგწონთ?

18. უფრო მეტად გიტაცებთ წერილების წერა, ვიდრე ტელეფონით დარეკვა ან SMS-ების გაგზავნა?

19. იგრძნობთ თავს უხერხულად ან ცოტა გაუბედავად, თუ სტუმრად მისვლის დროს შენიშნავთ, რომ თითქმის არავის იცნობთ იქ მყოფთაგან?

20. ადვილია თქვენთვის სიმხიარულის შეტანა საკმაოდ მისასწავლ საუბარში?

21. გიყვართ სიმღერა ნაცნობებისა და მეგობრების კომპანიაში?

22. ჩვეულებრივად გიჩნდებათ სიმორცხვისა და მორიდებულების გრძნობა, როდესაც გინდათ წამოიწყოთ საუბარი საპირისპირო სექსის სიმპათიურ პირთან?

23. თუ რაღაც მიზეზის გამო ვინმე არ მოგწონთ, უბრალოდ იწყებთ მის უგულვებელყოფას?

24. გადღევეთ, რას ფიქრობენ თქვენზე გარშემომყოფნი?

25. თუ დავისთვის საბაბი უმნიშვნელო იყო, თქვენ ადვილად მიდიხართ შერიგებაზე?

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაქონი გზისკენ



რას ელოდებიან სომხები მცენიარები

ბავრცელბული ინფორმაციით, სომხეთის ტერიტორიაზე შეჩერებულია უძველესი ქართული ტაძრების რესტავრაციის პროცესი, რომელიც აქამდე ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად მიმდინარეობდა. რესტავრაციის შესახებ ხმაური მას შემდეგ დაიწყო, რაც ლორე-ტაშირში, ამჟამად სომხეთის ფარგლებში მოქცეულ ქართულ მინაზე ქობაირის წმინდა გიორგის სახელობის XII საუკუნის ტაძარი ისტორიკოსმა მთვარისა თარხნიშვილმა მოინახულა. ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი წესების დარღვევით უკვე რესტავრირებულია მონასტრის კომპლექსში შემავალი სამხრეთის გუმბათი. „ამის გამო სამრეკლო გასომხებულია“, — აცხადებს მთვარისა თარხნიშვილი.

ირაკლი ალასანიას უარული გზები

ქვეყნის სახლთა კონფედერაციის ხელმძღვანელი ზაალ კასრელიშვილი საგანგაშო ინფორმაციებს გვაცხადებს და აცხადებს, კავკასიაში ვითარება უკიდურესად იძაბება, რასაც საქართველოში სოციალური ფონის კრიზისი მოჰყვება, არაა გამორიცხული, კონკრეტულმა ძალებმა ისარგებლონ და ქვეყანაში შეიარაღებული ამბოხის მოახლოება... მაგალითად, „ნაცმოძრაობას“ მიმზღული ზონდერები და პარტიზანები უკვე კარგ მდგომარეობაში არიან ალასანიასთან. ამას უნდა დავამატოთ საქართველოში მომხდარი ყველა კონფლიქტში მონაწილე ვეტერანები, რომელთაც ნებისმიერ სიტუაციაში მხარდამჭერებად გამოიყენებს ალასანია... თუკი პოლიტიკური მხარდაჭერა დასჭირდება, ისინი ეყოლებათ, თუ საპროტესტო აქციებში ძალა და მასა დასჭირდება, პრობლემა არ ექნება... ყველა შემთხვევაში გარედან ასე ჩანს, რომ მას ასეთი გათვლა აქვს...

„იძიან გამოფინება, რომ ჩვენი თვალთ ვნახო, მი ვიქნება, რომ ამ ცხოველბა სახლთა გიგანტიანი და ლეონა გუხიანიც გააუბრებინო“

— აცხადებს კრიმინალური პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გელა მებონია და ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებს არაერთი მძიმე დანაშაულის ჩადენაში სდებს ბრალს, — სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ორგანიზებაში პირდაპირ ვადაწაშაულე დათა ახალაის! ის ოთხი კაცი, რომელმაც გირგვლიანი და ბუნაძე ოქროყანაში აიყვანეს და აწამეს, იყვნენ კუდის თანამშრომლები არ ექნება... ყველა შემთხვევაში გარედან ასე ჩანს, რომ მას ასეთი გათვლა აქვს... „სასაზღვარეობა“

კულტურის სამინისტროს თბილისში მუშაობის შედეგების შედეგების უფლება ეძიება

ბასულ კვირას პარლამენტმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით ახალი კანონპროექტი მიიღო, რომლის თანახმადაც თბილისის ტერიტორიაზე ახალი მშენებლობებისა და პროექტების შესახებ გადაწყვეტილებას ნაცვლად თბილისის მერიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მიიღებს. აქამდე არსებული კანონით ეს მხოლოდ მერიის პრეროგატივა გახლდათ. ამიტომაც მოჰყვა ამ გადაწყვეტილებას გიგი უგულავას მწვავე რეაქცია, ხოლო სააკაშვილმა შეიძლება კანონპროექტს ვეტო დაადოს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტი

- იძიწი! დამხმარეთ! ფულს, რამდენიც საჭიროა, გადაგიხდით!
- კარგი... ოღონდ ფული წინასწარ მომეცი თორემ უკვე თითქმის ჩვეულებრივი ამბავია — დაეხმარები ადამიანს, მერე კი ნახავ, რომ ისეთი სახით წევს კუბოში, თითქოს არც გიცნობს.
- მიწი, ნახე, რა წერია ამ გაზეთში, აფრიკულ ქვეყნებში ქალი შეიძლება 50 დოლარად იყიდოს ეს ხომ, უბრალოდ დაუჯერებელია!
- რატომბა დაუჯერებელი? კარგი ქალი მართლაც შეიძლება ღირდეს ამდენი ფული...
- იძიწი, გავიგე, რომ სექსი ბევრ დაავადებას კურნავს...
- მართალია, ჩემო კარგო. მაგრამ თვითმკურნალობით ნუ გაერთობით.
- თმმინი დახმარება მჭირდება, — ეუბნება პაციენტი ფსიქიატრს.
- რა პროფესიის ხართ?
- ფსიქიატრი ვარ.
- მერე თავად რატომ არ მკურნალობთ საკუთარ თავს?
- მე ძალიან ძვირს ვიღებ...
- ბალები ნარკოტიკი არ არის. გესმის, ბალებო, შენ ნარკოტიკი არა ხარ...
- ბი, მესმის, მესმის, ნარკოტიკი არა ვარ...
- ბიჭებო, გუშინ პლანს ვწვოდით, ვიცინოდით, ვიფიქრეთ, მოდი, კატაც დავაკაიფოთო.
- მერე რაო, კატამ?
- არაფერი, ჩვენთან ერთად იჯდა და იცინოდა.
- ეზოში პატარა გოგო ზის და ტირის.
- რა გატირებს? — ეკითხება ნარკომანი.
- დედაჩემი აივნიდან ჩამოვარდა და ახლა ცაშია!
- ცაშია რა, რეზინისაა? — უკვირს ნარკომანს.

ავტორთა საჭურაფლო
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ატვირთავს ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (მთვინი) პერმისიონის) ქ. 19
056434 66434

გამომცემელი:
შპს „თანაღმობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

ua(უა) 070 4(479.22) 5-323
ISSN 2233-3651
9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი
ალექო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიგვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
საბრტაძე ქობულა 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გაბუა გაბუაძე 514 33-33-24